



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის

ქ. თბილისი

10 მარტი, 2025 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვიანიძის სახით და მეორე მხრივ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, თამარ მახარაშვილის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და თანხმდებიან საერთო ინტერესების სფეროში სხვადასხვა აქტივობის ერთობლივად განხორციელების თაობაზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელს აწერენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმატი

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ შემდეგი ფორმებით:

2.1. ხელი შეუწყონ საჯარო სკოლებში კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის მიმართულებით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას, სხვადასხვა ღონისძიებისა და აქტივობის ორგანიზების გზით.

2.2. საჭიროების შემთხვევაში დაგეგმონ მხარეთა შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით.

მუხლი 3. ღონისძიებების განხორციელება

- 3.1. მხარეები, ძირითადი მიმართულებების მიხედვით, კონკრეტულ ღონისძიებებს განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმების ფარგლებში.
- 3.2. მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის, თანამშრომლობის მიმდინარეობისა და შედეგების განხილვის მიზნით, შესაძლებელია სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, საკონტაქტო პირების გამოყოფა ორივე მხარის მიერ და ცალკეული შეთანხმებების გაფორმება.
- 3.3. მემორანდუმით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულება

- 4.1. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.
- 4.2. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
- 4.3. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე.
- 4.4. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.
- 4.5. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება, ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 4.6. წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რაც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- 4.7. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და
მომხმარებლის დაცვის სააგენტო

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
სამინისტრო

ირაკლი ლექვინაძე
თავმჯდომარე



თამარ მახარაშვილი
მინისტრის მოადგილე

